სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ქ. თბილისი 11 აპრილი, 2023 წელი

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 08 თებერვლის N143550 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისიის

სხდომის

ოქმი №1

სხდომას ესწრებოდნენ:

ბერიკა შუკაკიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი;

დავით ხვედელიძე - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;

როსტომ თოლორდავა - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის მთავარი ბუღალტერი;

ნიკო გიგოლაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების ჯგუფის უფროსი.

ირაკლი რობაქიძე – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის ლოჯისტიკის ჯგუფის უფროსი.

თეონა ხოსიტაშვილი – სატენდერო კომისიაში სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული პირი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ,,ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის" პროგრამის მენეჯერი.

ზურაბ ხეცურიანი – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების მენეჯერი.

სხდომას არ ესწრებოდა:

ია ძებისაური – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის უფროსი;

დღის წესრიგი:

1. სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება;

2. ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT) ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცება.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული, სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის სასტუმრო-საკონფერენციო მომსახურების ***(55120000 - სასტუმროში შეხვედრებისა და კონფერენციების ორგანიზების მომსახურება)*** სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში და ასევე სხვადასხვა საიტების მეშვეობით მოძიებულ იქნა კომპანიები ვისაც შესაძლოა ინტერესი გამოეხატა აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით. ოცი შესაძლო პოტენციურ მომწოდებელს გაეგზავნა კვლევაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისი წერილი და შესასყიდი მომსახურების ამსახველი დოკუმენტაცია.

საბოლოოდ ბაზრის კვლევისას დაინტერესება გამოხატა ორმა პოტენციურმა მიმწოდებელმა, რომლებმაც წარმოადგინეს შემდეგი ფასები:

1) პოტენციური მიმწოდებელი 1 - 109868 – (ასცხრაათას რვაას სამოცდარვა) ლარი დღგ-ს გარეშე.
2) პოტენციური მიმწოდებელი 2 – 64068 (სამოცდაოთხიათას სამოცდარვა) ლარი დღგ-ს გარეშე.

შესაბამისად სატენდერო კომისიამ იხელმძღვანელა პოტენციური მიმწოდებელი 2-ის მიერ მოწოდებული ფასით და განისაზღვრა ტენდერის საორიენტაციო ღირებულება 64000 (სამოცდაოთხიათასი) ლარი, დღგ-ს გარეშე.

აზრი გამოთქვეს:

სატენდერო კომისიის წევრებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი სახით სატენდერო განცხადება და დოკუმენტაცია მისაღებია.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია და განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ.
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს, ორი სამუშაო დღის ვადაში სატენდერო განცხადების და დოკუმენტაციის განთავსების უზრუნველყოფა www.procurement.gov.ge-ზე.

კომისიის თავმჯდომარე:	ბერიკა შუკაკიძე -
კომისიის წევრები:	დავით ხვედელიძე -
	როსტომ თოლორდავა -
	ნიკო გიგოლაშვილი -
	ირაკლი რობაქიძე -
სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული პირი:	თეონა ხოსიტაშვილი -
კომისიის აპარატის წევრი:	ზურაბ ხეცურიანი -